ქ. თბილისი, ქინძმარაულის ქუჩა №7

(წყლის კოშკი)



(არქიტექტურულ ისტორიული კვლევა)

ხელოვნებათმცოდნე: გიორგი პატაშური

2022

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს სამგორის მუნიციპალიტეტში, მოსკოვის გამზირის ბოლოში, მის პერპენდიკულარულად ამავალ ქინძმარაულის ქუჩაზე. ჩვენთვის საინტერესო ობიექტი მდებარეობს დიდი ეზოს შიგნით და წარმოადგენს, ფუნქციადაკარგულ წყალსაქაჩ კოშკს.



1924 წლის რუკაზე თბილისის შემადგენლობაში ყველაზე შორეული ადგილი ამ მხარეს იყოს ამჟამინდელი მოსკოვის გამზირის დასაწყისი, სანამ ვარკეთილისკენ ავუხვევთ, სადაც განთავსებული იყო სასაკლაო.

ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიის ათვისება გასაბჭოების შემდეგ, 1930-40-იან



წლებში დაიწყო. ძირითადად აქ განთავსებული იყო ქარხნები და ფაბრიკები, ხოლო სახლებსაც მათში მოსამსახურე მუშახელისთვის აგებდნენ.

ამ ტერიტორიაზე – ქინძმარაულის ქუჩასა და გარდაბნის გზატკეცილს შორის განთავსებული იყო რამოდენიმე ქარხანა. მოსკოვის გამზირის ქვედა მხარეს მტკვრისკენ იყო საავიაციო ქარხანა – 31-ე ქარხანა, აქვე იყო ე.წ. "ზეემკა" (ლითონის კონსტრუქციების ქარხანა), ჩვენი საპროექტო ტერიტორიის გვერდით იყო ავეჯის საწარმო "განთიადი", ხოლო თავად ჩვენთვის საინტერესო ობიექტი შედიოდა ასევე ავაჯის კომპინატის ტერიტორიაში – ТКГМ – **თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატში**.



საჯარო რეესტრიის არქივიდან ამოღებული ქარხნის გეგმაზე კარგად არის განმარტებული ყოველი შენობის დანიშნულება. აქ იყო ნახევრადმსუბუქ სკამებს, მხატვრულ ავეჯს, ფართო მოხმარების ავეჯს. ქარხნის ტერიტორიაზე იყო ადმინისტრაციული ნაგებობები, საწყობები, მიწისქვეშა ავზები და ჩვენთვის საინტერესო ობიექტი - კოშკურა წყლის წნევითვის.

ნაგებობა წარმოადგენს წრიული გეგმის კოშკურა შენობას, რომელიც ზემოთ დაირთავს ასევე წრიული ფორმის ბეტონის კონსოლებზე დაყრდნობილ განიერ





წყლის ავზს. კოშკურა აგებულია წითელი აგურით, ცემენტის ხსნარზე. უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ კარგი ხარისხის მშენებლობაა, დაცულია აგურის სწორი რიგები, აგურებს შორის გაკეთებულია დეკორატიული ამოგოზვა. კოშკის ეყრდნობა იმავე აგურში გამოყვანილ საფეხუროვან





ცოკოლს, სადაც ერთ მხარეს ანთავსებულია სწორკუთხა კარი. ძირითად, შედარებით ვიწრო “ტანში” ორი ფანჯარა გამოდის სხვადასხვა სიმაღლეზე, ერთმანეთის

თავზე, რომელიც ანათებს კოშკის შიგნით ამავალ ხის კიბეს. ზედა, აუზის ნაწილი დაცხრილულია პატარა და დიდი ფანჯრების ორი რიგით.

აღსანიშნავია, რომ ევროპასა და რუსეთში არაერთი წყლის კოშკია შემორჩენილი რომლებით XIX და XX საუკუნეებით თარიღდება. ზოგი მათგანი გამოირჩევა თავისი მხატვრული გაფორმებით და მიუხედავად იმისა ასრულებენ თუ არა თავდაპირველ ფუნქციას, მაინც წარმოადგენენ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს.

რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო შენობას. მიუხედავად იმისა, რომ როგორც ჩანს ნაგებობა კარგი მშენებლის აგებულია, მისი არქიტექტურული სახე არ წარმოადგენს რაიმე ღირებულებას. მას გარკვეული ღირებულება ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მთელი ძველი ქარხნის ნაგებობები იქნებოდა შენარჩუნებული და ერთიან კონტექსტში რეაბილიტირებული. თუმცა, ამჟამად ძველი ქარხნის აღდგენა შეუძლებელია და შესაბამისაც ცალკე აღებულ უფუნქციო კოშკს არანაირი ღირებულება არ გააჩნია.